ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 30 № 97

წელიწადი მეორე

ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 30 № 97

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათის შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

# გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა...

# გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!..

## პროვინციელ ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა უკანასკნელათ აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ლტოლვილთა საყურადღებოთ.

ამ წლის 28 მაისიდან ქუთაისში დაარსდა

## გაღმოხვეწილთა (ლტოლვილი)

### ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო  კ ო მ ი ტ ე ტ ი.

კომიტეტი მოთავსებულია ქუთაისში, საგუბერნიო სამმართველოს ბინაზე (ვორონცოვის ქუჩაზე ქალაქის ბაღთან). კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ.

5—2

## ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა

აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში მდგომარე წლის 9 ივნისს ახალი სტილით (27 მაისს ძველი სტილით) დილის 11 საათზე, თანახმათ § 89-ში მოთავსებული შენიშვნისა, კრება კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ კრებაზე გამოცხადებულ ბანკის რწმუნებულთა რაოდენობისა.

**კრებაზე განსახილველია:** 1. 1917 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა. 2. გამგეობის მოხსენება შესახებ 1917 წლის მოგების განაწილებისა. 3. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში. 4. შეცვლა და შევსება ბანკის წესდების ზოგიერთ პარაგრაფისა. 5. ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრების მოხსენება შესახებ ბანკისთვის საკუთარი ბინის აშენებისა. 6. 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა. 7. თანამდებობის პირთა არჩევა.

3—1

## დამოუკიდებლობა და გარეშე საფრთხე.

ამ ასი წლის წინად, განკითხვის ხანაში, უამრავ მტერთა გარს შემორტყმის დროს დაჰკარგა საქართველომ თავის ხელმწიფება

დღეს, საბედისწერო ჟამს ისევ დაიბრუნა საქართველომ სახელმწიფური დამოუკიდებლობა.

ჩვენს წინაშე არა ერთხელ დაისვა და დღესაც წამოიჭრა საკითხი ერის ყოფნა არ ყოფნისა.

საქართველოს ირგვლივ მტერი მოაწვა და მას ფიზიკური სიკვდილი დაუპირა.

ჩომხდურ მტერს დამხდური უნდოდა, მაგრამ ეს ჩვენ მამაპაპურად, ღირსეულად ვერ შევსძელით რადგან საქართველოს მებრძოლი ძალა „რუსულ სენით გარყვნილი ბოლშევიზმის“ წიაღში დნებოდა.

მცირე რიცხოვანი ქართველთა ლაშქარი, საუცებოთ შექმნილი უსისტემო და უთავო იყო.

გურიაში სამხედრო საქმეებს მასწავლებელი და ჟურნალისტი მეთაურობდა.

საქართველო შერცხვა ბრძოლის ველზე.

მტერმა შემოანგრია სამხრეთ საქართველოს სიმტკიცის ბჭენი და დაეუფლა საქართველოს ედემს ბათომს... ბათომი დავკარგეთ, კარები დაგვეხშო სინათლიან ქვეყნისკენ, გამოვეთხოვეთ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ნაყოფის მომცემ საძირკველს...

ბათომს საქართველოის ბედის საზღვარი დავარქვით!

ბათომის უბედურებას თან მოჰყვა მტრის გურიაში შემოჭრა და ოზურგეთის დაპყრობა...

ჩვენს სინიდისს ჰქეჯნის ის გარემოება, რომ ამ საშინელებათა დატრიალების გამო არ შეშფოთებულა სრულიად საქართველოს ერი და ერთ ძლიერ ძალად არ ჩამოქნილა, რომელსაც ნტრებისთვის რისხვა უნდა დაეცა.

ეს იყო მაშინ, როდესაც საქართველო უსახოთ უპიროვნოდ აღელვებულ ზღვაში ქანაობდა, როდესაც თავის თავს არ ეკუთვნოდა, სისხლს ღვრიდა ამიერ-კავკასიისთვის, ხოლო თითონ დახმარებას არსაიდან არ იღებდა!..

ასე აღარ არის დღეს.

ჩვენი სამშობლო ამჟამად სუვერენულ უფლებებით შემოსილი სახელმწიფოა და ამავე დროს ძლიერ გერმანეთის მფარველობის ქვეშ.

აი ასეთ მდგომარეობაში შენების გზაზე დამდგარ საქართველოს თავდასხმას უპირებენ მტრები.

გუბერნიის კომისარმა პოლიტიკურ პარიების წარმომადგენლებს გააცნო ოსმალთა მთავრობის საქართველოს მთავრობისადმი მიმართული მოთხოვნილება რომლითაც თათრები თხოულობენ ახალციხის, ახალქალაქის მაზრების და რკინის გზის დათმობას. ყველა პოლიტიკური პარტია ამ ამბავს აღშფოთებული შეხვდა და მიემხრო ქვეყნის თავდაცვას.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ჩამოშორებით ის რკალი' რომლიც ამ ხანად ბათომ-ოზურგეთის დაღუპვით შემოერტყა საქართველოს კიდევ უფო ვიწროვდება. ახალციხე და ახალქალაქის მაზრას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბათომს.

ახალქალაქის მაზრა მოკენჭილია ქართველთა ძვლებით და მოფენილია სრაპალატებით. წმიდა ტაძრებით საქართველოს დიდებულ წარსულის ცოცხალ მოწმეებით...

ჩვენი ახლანდელი თაობა რომ გაწყრეს ღმერთი და შეურიგდეს ამ ადგილების დაკარგვას, მომავალში ერი ქართლისა მას ვერ შეურიგდება და წყევა კრულვით მოიხსენიებს თავის ულირს შვილთ.

მთელი ხალხის თავდაცვის რიგში ჩაყენება, საბრძოლად მომზადება აუცილებელია. ჩვენი მთავრობა ცდება საქმე მშვიდობიანად დააგვირგვინოს. იგი აცნობებს ყველაფერს გერმანეთს, მაგრამ მეორეს მხრით უსათუოდ საჭიროა ხალხი მარაგად გვყავდეს, სამხედრო ძალა არსებობდეს.

ამისათვის უნდა დაიწყოს საყოველთაო მობილიზაცია და იგი გატარდეს ნამდვილი წესით. ჯარი შესდგეს წმიდა სახელმწიფურ ნიადაგზე და იგი არ ჰგავდეს თვითნება ბრბოს. ჯარი უნდა იქმნეს ერთი, ერთ მთავრობის მორჩილი ერთ ეროვნულ დროშით. პარტიული რაზმები რომლებიც სამხედრო ძალას ქსაქსავენ მთავარ სამხედრო ნაწილში უნდა იქმნას გადარიცხული.

დამოუკიდებელ საქართველოს გარეშე საფრთხე ემუქრება და იგი ყველას თავდაცვის რიგში ჩადგომას ავალებს.

**ი. იმერელი.**

## პ რ ე ს ა.

დედა ქალაქის პრესა დამოუკიდებლობის შესახებ.

„საქართველო“

საქართველოს დამოუკიდებლობა იშვა რუსეთის რევოლუციის ნანგრევებზე და საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელ ჯაჭვებისა თუ ძაფების გადაჭრა იკისრა იმ მიმართულებამ, რომელიც მეთაურობდა რუსეთის რევოლუციას და რომელიც ჰდარაჯობდა რევოლუციონურ ერთობას და მთლიანობას. ჯერ კიდევ, სანამ საქართველომ არ გაინთავისუფლა თავი რუსეთის და მისი რევოლუციის ხლართულებიდან, ამ გარდამავალ ხანაში საქართველოს სჭიროდა სწორეთ ისეთი მთავრობა, როგორიც ამ ჟამად შექმნა მან. მაგრამ როგორც დაიწყება საქართველოს პოლიტიკური აღმშენებლობა, როგორც კი შეუდგებით მთავრობის მექანიზმის შექმნას და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლების ჩაყრას, ცხოვრება მოითხოვს ახალს პოლიტიკას ახალს მთავრობას და ახალს ძალებს ამ აღმშენებლობისათვის.

საქართველოს პირველი მთავრობა არის ამიერ-კავკასიის დაშლის და მისგან საქართველოს გამოყოფის მთავრობა. სულ მახლობელ ხანში მას მოყვება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებელი მთავრობა და ამ ეროვნულ მთავრობის გარშემო შემოკრბება და თავს მოიყრის ქართველი ერის ყოველი ნაწილი, ყოველი წრე და ჯგუფი.

„ერთობა“:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთგვარი ოაზისია ერთი კუთხეთაგანია, რომელიც ამიერ-კავკ. დემოკრატიისათვის თავშესაფარი გახდება და მის არსებობაში ყველა ერის ჭეშმარიტი დემოკრატია გულწრფელათ დაინტერესებულია. საქართვე-

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი შენარჩუნება საერთაშორისო დემოკრატიას არავითარ ზიანს ვერ მოუტანს. პირიქით, იგი ინტერნაციონალური პროლეტარიატს გაამაგრებს. ამიტომ ჩვენი მთელი ყურადღება საერთაშორისო დემოკრატიისაკენ იქნება მიქცეული და მისი გამოსარჩლება ერთად-ერთი გარანტიაა, რომელიც გვიხსნის ბარბაროს ოსმალეთისაგან. თვით რუსეთის შეგნებული დემოკრატიული ნაწილი არ აყვება ლენინის შურისძიებას და იგი შეძლების მიხედვით გამოესარჩლება საქართველოს დამოუკიდებლობას. განსაკუთრებით კი დიდ როლს ითამაშებს გერმანია ავსტრიის სოციალ-დემოკრატია; მათ შეუძლიანთ თავიანთ მთავრობაზე გავლენა იქონიონ. უკანასკნელი იძულებული გახდეს ოსმალეთის დესპოტიურ მთავრობას თავისუფალი ქვეყანა არ გაასრესინოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა შინაურ და საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა, ერთიც და მეორეც ენერგიულად შეეცდება მის დაცვა—უზრუნველყოფას.

„სახალხო საქმე“:

დღეს საქართველო ერთს პოლიტიკურს მთელს და ამან ერთის ნებისყოფით უნდა აამოძრაოს მთელი საქართველო. მტერი რკალივით შემოერტყა საქართველოს. ხსნა მხოლოდ ჩვენს ხელთ არის. თუ გამოვიჩინეთ უწარი თავის დაცვისა და ხალხი გმირულად დაუხვდა შემოსეულ მტერს, თუ მთელი საქართველო ერთის გრძნობით გამსჭვალა, თუ თავხედ მტერს წინ დაუყენეთ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა, იგი იძულებული გახდება ქედი მოიხაროს და თავის უზომოდ გალვიძებული მადა შეიმოკლოს.

ქართველ ხალხს ისტორიულადაც აქვს გადმოცემული მამაცობა. იგი უბრძოლველად თავის სამშობლოს არავის დაუთმობს. საჭიროა საქართველოს მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს და თოფ-ქვეშ დააყენოს იმდენი ძალა რამდენიც საკმარისი იქნება საზღვრეხის დასაცავად და რამდენის წესიერ ორგანიზაციასაც შესძლებს ჩვენი ნორჩი სახელმწიფო.

მნიშვნელობა იმდენად ჯარის სიმრავლეს არა აქვს, რამდენადაც მტკიცე ორგანიზაციას ფრონტისა და ზურგში. განვამტკიცოთ საქართველო ფრონტსა და შიგნით, და ამნაირად გამაგრებული ჩვენი სახელმწიფო შესძლებს გალაღებული მტრის მოგერიებას.

## საზავო მოლაპარაკება

(ნოე ჟორდანიას მოხსენებაა)

ბათომში ამ ჟამად სამი დელეგაცია: ოსმალეთისა, გერმანეთისა და ამიერ-კავკასიის. თვითეულ, მათგანს აქვს მინიჭებული განსაზღვრული ინსტრუქციები. დღეს მათში თვალსაჩინო განხეთქილება ჰსუფევს, საერთო სხდომა სამ დელეგაციისა მხოლოდ ერთხელ მოჰხდა. ამის შემდეგ საერთო სხდომები არა ყოფილა და დელეგაციებმა ერთმანეთს ნოტები რამდენჯერმე წარუდგინეს. ამიერ კავკასიის ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხს რამდენიმე მიმდინარეობა აქვს. ერთი თანახმაა ბრესტის ხელშეკრულობისა, მეორე მოითხოვს კიდევ გაფართოვდეს ბრესტის ხელშეკრულობის მიერ მოპოებანი და ოსმალეთს კიდევ შემოუერთდეს ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ოლქები. მესამე ენვერ-ფაშის მეთაურობით მოითხოვს ამიერ-კავკასიის ოკუპაციას სანამ საკითხი საზავო კონფერენციაზე გადასწყდებოდეს. ამ სამ მიმდინარეობათა შორის განხეთქილებაა. შემდეგ ეს მიმდინარეობანი შეთანხმდნენ და ოსმალეთის დელეგაციას მისცეს ინსტრუქციები, რომლითაც მოითხოვენ: ახალციხის, ახალქალაქის, გუმრის, ეჩმიაძინის და სურმალინის მაზრების ოსმალეთთან შემოერთებას, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ხელში ჩაგდებას, სურსათისა და ჯარისთვის, ომის დასასრულამდე და კიდევ სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რაც განამტკიცებს ოსმალთა უფლებს ამიერ-კავკასიაში. ეს მოთხოვნილებანი წაუყენეს ჩვენს დელეგაციას ბათომში.

ჩვენმა დელეგაციამ უპასუხა, რომ იგი საზავო მოლაპარაკებას ბრესტის ხელშეკრულობის მიხედვით აწარმოებს. ოსმალებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულობის მიღების შემდეგ ტრაპიზონში უთანხმოება მოჰხდა და მდგომარეობაც შეიცვალა. ჩვენი დელეგაცია ამტკიცებდა, რომ ბათომისა და ყარსის ოლქში მომხდარი შეტაკებები არ არღვევენ ბრესტის ხელშეკრულობას. ბრესტის მოლაპარაკების მეოთხე მუხლის თანახმად, ბათომის და ყარსის ოლქები უნდა გაეწმინდათ ჯარებისაგან და თვითგამორკვევაც უნდა მიენიჭებინათ. ოსმალეთმა კი თვითგამორკვევის გზაზე მდგარ ქვეყანაში ლაშქარი შეიყვანა და მით დაარღვია ბრესტის ხელშეკრულობა; ამისთვის, ამიერ-კავკასიას ნება ჰქონდა ამდგარიყო მის დასაცველად. ამის საპასუხოდ ოსმალთა დელეგაციამ განაცხადა, რომ ბრესტის ხელშეკრულობის მე-4 მუხლი განხეთქილებას ჩამოაგდებს საზავო მოლაპარაკებაში.

ოსმალეთში ამ ჟამად, სახელმწიფოს ძირითადი გარდაქმნა ჰხდება. დღემდე სახელმწიფოს საფუძვლად რელიგია იყო; ოსმალებიც ისლამის უკიდურესი ტრფიალნი იყვნენ.

ახალი მიმდინარეობა, რომელიც სახელმწიფოს საფუძვლად ედება არის პანთურქიზმი. მოთურქენი ადერბეიჯანელ თათრებს თურქებად ჰსთვლიან და აგიტაციას ეწევიან, ადერბეიჯანის ოსმალეთთან შემოსაერთებლად. ზემოდ მოხსენებულ ხუთი მაზრის ანექსიით ოსმალეთს ჰსურს სომხეთის საკითხის გადაწყვეტა. სომხეთა ეროვნულ ერთეულის შექმნა ამიერ კავკასიაში აშინებს ოსმალეთს და ამისათვის ჰსურს ამიერ-კავკასიის სომხობის ნაწილი ოსმალეთს დაუქვემდებაროს. ბათომში ჯერ არ არის ამიერ-კავკასიის ერთი მთლიანი დელეგაცია. არის ერთი ოფიციალური დელეგაცია, რომელიც ლაპარაკობს ამიერ კავკასიის სახელით და თათრების რამდენიმე დელეგაცია, რომელიც სულ სხვანაირად მოქმედობს, ვინემ ოფიციალი დელეგაცია. ესენი პირდაპირ იწვევენ ოსმალებს ამიერკავკასიაში. შთაბეჭდილება ისეთი გამოდის, თითქოს ჩვენი დელეგაცია გამომსახველია არა მთელი ამიერკავკასიის კვეთებისა და მისწრაფებისა, არამედ მხოლოთ სომხეთ-საქართველოსი. ასევე დიდად აძლიერებს ენვერფაშის შანსებს. გერმანელთ მოსვლა ბათომში მოულოდნელად მოხდა, მას არც კი მისცეს ინსტრუქციები; მათი მოსვლა ოსმალებისათვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო, რადგანაც ამიერკავკასიასთან მოლაპარაკებას მხოლოდ კერძო საქმედ სთვლიან. გერმანელებს კარგად არცკი ქონდათ გაცნობილი ტრაპიზონის მოლაპარაკება და ამიერ-კავკასიის მდგომარეობა, ოსმალური ცნობები ასეთი იყო: „გეგეჭკორის რუსოფილური მთავრობა დაეცა.“ გაიმარჯვა ჩხენკელის თურქოფილურ მთავრობამ, გერმანელებს ეგონათ, რომ მთელი ამიერკავკასია თურქოფილურ განწყობილებაშია. ბათომში საქმის ვითარება გამოარკვია სეიმის წევრმა ბერშტეინმა. გერმანეთის დელეგაციამ ინსტრუქციები მიიღო, რომლითაც მტკიცეთ უნდა დაეცვათ ბრესტის ხელშეკრულობა. გერმანელების ასეთი პოზიცია ორი მიზეზით აიხსნება. გერმანელებს ჯერ ეშინიანთ დაარღვიონ ბრესტის ხელშეკრულობა, რადგანაც იგინი ველარ ისარგებლებენ მისით საზავო კონფერენციაზე. გერმანელებს სურთ, რათა ოსმალთა მთელი ძალა დაგროვდეს მესოპოტამიის ბრძოლის ველზე ინგლისელების წინააღმდეგ. კავკასიაში ოსმალებს კარგა ჯარი ყავს დაბანდებული, ეს კი ხელს უშლის მესოპოტამიის ოპერაციებს. გერმანელები ოსმალების მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას ადასტურებენ მტკიცედ, სახელდობრ ამიერკავკასიის რკინის გზის მოთხოვნას ჯარის გადასხმისთვის. რკინის გზების მმართველობას ოსმალებს ვერ ჩაუგდებენ ხელთ.

მათის აზრით მმართველობას უნდა განაგებდეს, ამიერ კავკასიის, ოსმალეთის და გერმანელ წარმომადგენლების შერეული კომისია. ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკითხი გერმანელთა აზრით გადასწყდება, მხოლოდ ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის შერიგების შემდეგ. დღეს კი, სამივე დელეგაცია ერთმანეთს უდგენს ნოტებს. ნოტებს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. ხოლო ფრიად საჭირონი არიან მომავალ კონფერენციისათვის. საზავო ხელშეკრულობასთან ერთად ოსმალები თანდათან შედიან ბრძოლად ამიერკავკასიაში. მათ ჰსურთ ჩვენ და გერმანელები დაგვაყენონ დაპყრობის ფაქტის წინაშე. ოსმალეთის დელეგაციისაგან ყოველ დღე ულტიმატუმს ელიან. ოსმალეთის ულტიმატუმს, ამ ჟამად გერმანელთა ნოტები აჩერებდა. ოსმალეთის დელეგაციას ჰსურს აიძულოს ამიერ-კავკასია დათმობაზე და უარ აყოფინოს ბრესტის ხელშეკრულობა. ჩვენი დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს ბრესტის ხელშეკრულობის საფუძველზე საქმის წარმოებას. გერმანულმა დელეგაციამ შუამდგომლობა იკისრა. ჩვენ შევთანხმდით. გერმანულმა დელეგაციამ გამოსთქვა აზრი, შეკრულიყო ჯერ წინასწარი ზავი ბრესტის მოლაპარაკების საფუძველზე, დანარჩენზე კი სტამბოლში, მოელაპარაკათ.

გერმანელები მოითხოვენ მოლაპარაკების სტამბოლში გადატანას, როგორც უფრო შესაფერისს ადგილში. თავის ინსტრუქციების მიხედვით, ოსმალეთის დელეგაციამ იუარა ეს წინადადება. ალბად ამ დღეებში ულტიმატუმს წამოაყენებს. ჩვენ ან უნდა მივიღოთ ულტიმატუმი, ან ომი განვაახლოთ. ულტიმატუმის მიღებას მხარს არავინ უჭერს; იგი უფლებებს წაგვართმევს საზავო კონფერენციაზე. გამარჯვებაც არ ძალგვიძს. ამის გამო გაერთიანებული ამიერ-კავკასია ხაფანგში ჰყვება. მთავრობა. და სეიმი იშლება ულტიმატუმის მიღებას თათრები შესაძლებლად სცნობენ. ამრიგად ფაქტიურად,—ამიერ-კავკასია აღარ არსებობს. ერთი კონტრაგენტთაგანი უკვე გამოვიდა.

ოსმალეთს არ მოსწონს ამიერ-კავკასიის მთლიანობა. თათრები ულტიმატუმისთვის მზად არიან. ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიღება, არ ძალგვიძს სომხის ერი მტერს მივსცეთ ხელში. ერთიანი ამიერ-კავკასია ჰლაფავს უკანასკნელ დღეებს. შეიძლება შემდეგ შეიქმნას ამიერ-კავკასიის კონფედერაცია, მაგრამ ახლა კი იშლება. დღეს თვითეულმა ეროვნულ ერთეულმა თვით უნდა იზრუნოს თავის მართვა-გამგეობაზე. კერძოდ სომხებს დღეს არსებობის დაცვა მოუხდებათ. უნდა მიჰმართონ რომელიმე ძლიერ ძალას თავის დასაცველად. ჩვენთან მხოლოდ ერთი ძალაა—გერმანეთი. ამისთვის უნდა მიემართოს მას. ჩვენ ვართ მოწმენი ოსმალთა შემოტევისა და ამიერ-კავკასიის ერთიანობის რღვევისა. ენვერ-ფაშის პარტიას ჰსურს შეჰკრას ამიერ-კავკასიის ადერბეიჯანი სპარსეთთან თავის ძმის მეთაურობით. ენვერის ძმა, ადიცერი ნია-ზიმ-ბეი თავის ასკერებით უკვე შევიდა განჯაში. ოსმალებმა მოითხოვეს ყველა რკინისგზებზე კონვენცია. მათ უარით შეჰხვდნენ. შემდეგ ითხოვეს გუმბრის და ჯულფის რკინის გზების კონვენცია. ჩვენი დელეგაცია დასთანხმდა, კერძო კონვენციას ჩვენ და ოსმალთა მოსაზღვრე ჯარების შორის ამ კონვენციას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს. საზავო დელეგაციის წევრნი—„მუსავატები“ გვარწმუნებენ, რომ ისინი მზად არიან საშველად, მაგრამ უმწეონი არიან ხალხის მოძრაობის წინააღმდეგ.

სომეხთა და მაჰმადიანთა წარმომადგენლები შეთანხმდენ საზღვარზე. შესაფერი განცხადებით მიჰმართეს ოსმალთა მისიას, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. „მუსავატელები“ სხვანაირად იქცევიან. ზოგიერთი მათგანი ჩვენთან სულაც არ მოდის და ოსმალეთის დელეგაციასთან ერთად ჰმუშაობს. ოსმალებს ჰსურთ ბაქო ჩაიგდონ და ადერბეიჯანის დედაქალაქად გახადონ. გერმანეთი მტკიცედ ადგია ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობას, იგი სცნობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას იმ შემთხვევაში, თუ სცნობს მას რუსეთი. ბერლინიდან მოსულ ცნობით, [illegible] კომისართა საბჭო [illegible] განიხილავს თავის ურთი-ერთობას დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიასთან. ოსმალებიც ახლა ამბობენ, რომ დამოუკიდებელ ამიერ კავკასიას არ სცნობენ. სცნობენ მხოლოდ ამიერ-კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობას.

## მთავრობის ცნობა.

ბათომიდან ა. ი. ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ დეპეშა საქართვ. დამოუკიდებლობაზე მიღებულ იქმნა ოსმალეთის დელეგაციისაგან ულტიმატუმის წარმოდგენის შემდეგ. 27 მაისს ჩხენკელი ხალილ ბეისთან იყო და პირადათ გადასცა მას ნოტა საქ. დამოუკიდებლობაზე და სეიმის და მთავრობის დაოხოვნაზე, ულტიმატუმის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა. ა. ი. ჩხენკელი თბილისში წამოვიდა ახალი დირექტივების მისაღებად, რაც ხალილ ბეის უკვე აცნობა. 3 დღის ვადა კი მიუხედავად ა. ი. ჩხენკელის პროტესტისა მაინც დარჩა ულტიმატუმის პასუხის მისაღებად. მხოლოდ წინად თუ ამიერ-კავკასიის მთავრობას წარუდგინეს ეს ულტიმატუმი, ეხლა ეროვნულ მთავრობას ეხება და მათ შორის საქართველოსაც. დადგენილია 8 საათიდან. ამაზე ა. ი. ჩხენკელმა უპასუხა, რომ ულტიმატუმი არ უნდა შეეხებოდეს საქართველოს, რადგანაც მას მოლაპარაკება არ უწარმოებია ოსმალეთთან, მაგრამ ეს განცხადება არ იქნა მიღებული. ა. ი. ჩხენკელის წამოსვლამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ოსმალნი მოელიან, რომ საქართველოს დელეგაცია მალე დაბრუნდება ბათომში ახალი დირექტივებით. როგორც ამის შესახებ უკვე იყო ცნობა, ოსმალეთის მთავრობა საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვს საქართველოს ტერიტორიისაგან ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ჩამოჭრას. საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, რომ ახალი საზღვრების დადების საკითხი იარაღით არ გადაწყდეს.

თუმცა მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებთ, რომ მოსალოდნელია მაინც, ოსმალეთმა არ შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება: ამიტომ მოუწოდებს მათ სრული სიმშვიდე დაიცვან და მზად იყვნენ, რომ მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ყოველი ღონე იხმარონ სამშობლოს დასაცავად.

## თავისუფალ საქართველოს.

დიდიხნის ტკივილების შემდეგ იშვა ჩვენგან დიდხნობით ნანატრი, საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება.

ჩვენ ეროვნულ დროშაზე წარწერილი სიტყვები: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ო, სინამდვილეთ იქცა. დღეს სამშობლო ჩვენი საქართველო თავისუფალია. გვმართებს სიხარული, ალტაცება, მაგრამ არა წრეს გადასული. ვინ იცის რომ ჩვენი სიხარული და ალტაცება ნაადრევი არ იქნება? ბავში რომ დაიბადება, თუ მაშინვე გახარებული დამსწრეები სუფრას შემოუსხდნენ და დათვრენ, მზრუნველობა მოკლებული ბავშვი მოკვდება და დამსწრეთ სიხარული და ალტაცება ტირილათა და ვაი ვიშით შეეცვლებათ.

ასევე გვმართებს ჩვენც, სიხარულს და ალტაცებას თავი ვანებოთ და საქმეს მოვკიდოთ ხელი.

ასევე ვეტყვი იმ ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველთ, რომელთაც პირიქით სწყინთ კიდეც საქართველოს თავისუფლება, მისცენ საზღვარი გოდებასა და ვაი ვიშს, და მიეშველონ დიდიხნის ტანჯულ მათ სამშობლოს.

საქართველო პოლიტიკურათ თავისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალია, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება არ კმარა ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელათ. მას საშვალება უნდა ექნეს კულტურულ ეროვნულათ აღორძინებისა, ვინაიდან კულტურულ-ეკონომიურათ უძლური ერი თვით დაკარგავს პოლიტიკურ თავისუფლებას. საქართველოს კულტურული და ეკონომიური აღორძინება ვერაა უზრუნველ-ყოფილი მან პოლიტიკურ თავისუფლებამდე დაკარგა მთელი სამხრეთ საქართველო, მთელი მესხეთი, აკვანი ძველი საქართველოს კულტურისა, დავკარგეთ ბათომი, ერთად ერთი მომარჯვებული ზღვის სანაპირო, ერთად ერთი კარი, არა მარტო საქართველოს არამედ მთელ ამიერ კავკასიის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებისა.

ჩვენი მოვალეობაა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, დავიცოთ საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ურდოებისაგან შემოსევას განიცდის, დაუბრუნოთ მას ახლათ დაკარგული სამხრეთ საქართველო, მზად ვიყოთ ახლად გამოფხიზლებულ რუსეთის შესაფერისათ შესახვედრათ, რომელიც სრულიად მოსპობას უქადის ჩვენ ერს. თუ ყველა ესენი ჩვენ შევძელით უზრუნველ-ყოფილი იქნება საქართველოს მომავალი თავისუფალი არსებობა. და ჩვენც პირწმინდათ მოვიხდით ჩვენს მამულიშვილურ ვალს ჯვარცმულ სამშობლოსა და მომავალი თაობის წინაშე.

მივესალმები საქართველოს ეროვნულ მთავრობას და ვუსურვებ მას ყველა ამ მოვალეობის პირნათლათ შესრულებას.

მან უნდა შეიგნოს თვით, რომ ჩვენი თავის მოვლა ჩვენ თავათ შეგვიძლია; მან უნდა აღადგინოს ქართველ ხალხში დაცემული ეროვნული სული; თუ დღემდე ჩვენი მმართველი პარტიის ქადაგება იყო. „ჩვენ ურუსეთოთ არ ვარგვართ" დღეს მან ქადაგება უნდა შესცვალოს და ნამდვილი უნდა უთხრას ხალხს: „თქვენ სხვის იმედმა წაგახდინათ, დაეყრდენით თქვენ საკუთარ თავს, იმავე პარტიამ თავი უნდა ანებოს დროებით მაინც ისეთ პოლიტიკის წარმოებას, რომელიც სხვადასხვა წრეს ქართველი ხალხისაც ერთმანეთს მიუსევს, მან უნდა შეადუღოს ქართველი ხალხი ერთ მთლიან არსებათ. უნდა შექმნას პატარა მაგრამ ძლიერი მუშტი საქართველოსი და გვერდში ამოუყენოს ჩვენ ახალ მფარველ გერმანიის ძლიერ მუშტს. მხოლოთ ჩვენმა მუშტმა უნდა დაიცოს საქართველოს მთლიანობა, თორემ „სხვისი შემყურე წყალში ჩამყურეო, ნათქვამია.

ერთი სიტყვით ეროვნულმა მთვრობამ უნდა შექმნას ნამდვილი ჯარი „რკინის დისციპლინით". და არა ზარის ხმაზე მოკრებილი ამხანაგური რაზმები. მხოლოთ „რკინის დისციპლინით" აღჭურვილ ქართველ ლაშქარს შეუძლია საქართველოს მიწაწყლის თავისი სისხლით დაცვა, და საქართველოს მომავლის უზრუნველყოფა.

არავინ გაბედოს თქმა ქართველი ხალხი მეომრათ არ ვარგაო. მეომრათ არ ვარგა მხოლოთ უწესრიგო და თვითნება ჯარი, რომლის დამარცხებას ქართველ მეომრის სახელს აწერენ.

დაუძახეთ ქართველ ხალხს: ქართლელს, კახელს, იმერს სვანს და სხ. შექმენით ჯარი რკინის „დისციპლინით" და ისინი თქვენ და მთელ ქვეყანას დაანახვებენ რომ ქართველი კვლავ ქართველია, რომ მას შეუძლია თავის გვერდით დაიცოს თავის მამაპაპათა სისხლით შენარჩუნებული მიწაწყალი, რომ ის თავის სამშობლოს ინტერესებს არავის გააქელვინებს.

მაშ დიდი ხნის ნანატრო საქართველოს ეროვნული მთავრობავ! შეიგნე მდგომარეობა შენი ერისა რომელმაც თქვენ ხელთ მოგცა თავისი საბედო-ყელისა, და ისე მოუარე მას რომ მუდამ ქართველის დედის ძუძუები თქვენ გლოცავდეს.

ქართველო ხალხო! განურჩევლათ ხედავ, დაღუპვის პირსაა სამშობლო შენი საქართველო. დაფიქრდი, დინჯათ და თვალხილულათ მიჰყევ საქართველოს მთავრობას, ეროვნულ საბჭოს, თუ გინდა რომ მომავალი შენ შვილთა-შვილისა უზრუნველ-ჰყო.

ქართველი ახალგაზდობავ! არა ნაკლები სიმარჯვე სიდინჯე გვმართებს ჩვენც, გვეღირსა დიდიხნის დიადი მიზნის განხორციელება, ტანჯული დედა საქართველო თავისუფალია. გვიხაროდეს! ძმებო! განვიმსჭვალოთ სამშობლოსადმი გაასკეცებულ სიყვარულით და თავი ჩვენი მივიტანოთ ზვარაკათ მამა აკაკის ხატის სამსხვერპლოზე.

ელ. პატარიძე.

# ახალი ამბავი

## ქ უ თ ა ი ს ი.

პარასკევს, 31 მაისს (ახალ. სტილით), საღამოს 6-ს საათზე წმინდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს **ვასილ წერეთელი „საქართველოს დამოუკიდებლობის"** შესახებ. მოხსენების შემდეგ იქნება კამათი.

### საგუბერნიო კომიტეტი.

**საქართველოს თავმჯდომარის დაბრუნება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა გერმანეთის წარმომადგენლებთან, 28 მაისს ღამით თბილისს გაემგზავრა.

✦ **მობილიზაციის გარშემო.** გუბერნიის კომისარს სხვადასხვა მაზრებიდან ცნობები მოსდის, რომ მობილიზაციის საქმე კარგად ტარდება. მაზრებიდან სხვათა შორის გუბერნიის კომისარს სთხოვენ, რომ ვინც მობილიზაციის წინააღმდეგ წავა გაასამართლონ ისინი და უფლება მიეცეთ სიკვდილითაც დასაჯონ.

✦ **საგანგებო კრება.** 28 ღამით და 29 მაისს დილით შეხდა საგანგებო კრება პარტიების წარმომადგენლებისა, რომელიც მოიწვია გუბერნიის კომისარმა. კრების საგანს შეადგენდა მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას. კრებამ დაადგინა: 1) მოსპობილ იქმნეს პარტიული რაზმები და შესდგეს მთლიანი ჯარი: 2) მობილიზაცია მოახდინონ 35 წლამდის თანახმად მთავრობის განკარგულებისა: 3) ჯარში გამოწვეულებმა წამოიღონ ერთი კვირის საყოფი საგზალი: 4) მოგვარდეს სურსათის საკითხი ჯარისათვის: 5) შესდგეს კომისია, რომელიც მოაწყობს მიტინგს და პროვინციებში დაგზავნის ინტერპარტიულ მფრინავ კომისიებს, რომ ხალხს შეაგნებიონ მობილიზაციის აუცილებლობა. და 6) შესდგეს კომისია, რომელიც შეკრებს სესხს ყველა პროფესიის მცხოვრებლებისაგან ომის საჭიროებისათვის.

✦ **საქართველოს მთავრობაში.** ბრძანება. მინისტრ-პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის დროებით თბილისიდან წასვლის გამო მინისტრ-პრეზიდენტის მოვალეობას დროებით შეასრულებს სამხედრო მინისტრი **გიორგაძე**. შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას შეასრულებს —კ. გვარჯალაძე.

ნ. რამიშვილი.

✦ გერმანეთის დელეგაციის თავჯდომარე გენერალ-მაიორი ფონ-ლოსსოვი ბერლინს წავიდა.

✦ საქართველოს ელჩად გერმანეთის მხრით ასახელებენ გრ. ბულენბერგს.

✦ **თბილისის ქალაქის საბჭოს რეზოლიუცია.** ქალაქის საბჭომ მოისმინა რა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება, შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ქალაქის საბჭო სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკას. საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული საბჭო აცხადებს, რომ იგი მზადაა მხარი დაუჭიროს ახლად შემდგარ მთავრობას. ყოველივე იმ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულნი იქნებიან დემოკრატიის იდეალების განხორციელებისკენ და მოუწოდებს მცხოვრებლებს შეკავშირდნენ თავისუფლების და რევოლუციით მონაპოვებთა შესანარჩუნებლად.

✦ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენს, გაზეთში უნებლიეთ გაგვეპარა შეცდომა გ. მ—ესა და მ—შვილის ჩხუბის შესახებ.

✦ **ინტერპარტიული კომისია.** საგანგებო კრებაზე ინტერპარტიულ მფრინავი კომისიების შესადგენათ არჩეულ იქმნა ინტერპარტიული კომისია, რომელშიდაც შედიან: ეროვნულ დემოკრატებისაგან: ალ. თორაძე და ნ. მიქელაძე, ს. რევოლუც.-გან: ა. გაფრინდაშვილი და მ. ფაჩუაშვილი, ს. ფედ.-დან შ. დადიანი და კ. მეუნარგია და ს. დემოკრატებიდან: გ. ფაღავა და ნ. ჭუმბურიძე. ამ კომისიის პირველი სხდომა მოხდა გუშინ საღამოს **6 საათზე.**

✦ **სესხის ამკრეფი კომისია.** სესხის ამკრეფ კომისიაში არჩეულ იქმნენ: დ. კალანდარაშვილი (თავმჯდომარე) ბ. მოსეშვილი, გრ. გველესიანი, ი. გობეჩია, მ. ლალიძე. კ. დათეშიძე და ელიგულაშვილი.

✦ **თედორე კუხიანიძე.** (მილიციონერი) გვთხოვს გამოვაცხადოთ: სამშაბათს მაისის 22 ობორინის შესახვევში მან იპოვა კვიცი. პატრონს შეუძლია მიაკითხოს ცენტრალური უბნის მილიციაში.

✦ **ფონ-ლოსოვის გამგზავრება რუმინეთში.** გერმანეთის წარმომადგენელი ფონ-ლოსოვი ფოთიდან რუმინეთში გაემგზავრა, რომ იქიდან გერმანეთის მთავრობას გადასცეს საქართველოს მდგომარეობის ცნობები. რუმინეთში გამგზავრებულა აგრეთვე ა. ჩხენკელიც.

✦ **საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის დაბრუნება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა გერმანეთის წარმომადგენლებთან, 28 მაისს ღამით თბილისს გაემგზავრა.

✦ **ჯარის გაგზავნა.** გუშინ ქუთაისიდან ბათომის ფრონტისაკენ გაიგზავნა არტილერისტთა გაწვრთნილი რაზმი.

✦ **სიმინდის ფქვილი.** თფილისიდან ქუთაისისათვის გამოიგზავნა 1 ვაგონი სიმინდის ფქვილი.

✦ **მამისონის უღელტეხილი.** მამისონის უღელტეხილის გაწმენდა უკვე დასრულდა. სიმინდის ყიდვა ალაგირიდან დაიწყეს.

✦ **ფასები შაბიაბანზე და გორგიდზე** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მევენახობისა და მეღვინეობის კომიტეტთან შეთანხმებით გორგიდზე და შაბიაბანზე ფასი გაადიდა. შაბიაბნი გირვანქა ეღირება 3 მანეთად გორვინდი კი 2 მან.

✦ **შუამდგომლობა ბოლშევიკების პატიმრებისა.** ბოლშევიკთა მეთაურებმა, რომელნიც ამ ჟამად დაპატიმრებულნი არიან და მოთავსებული საგუბერნიო ციხეში შუამდგომლობა აღძრეს გუბერნიის კომისარის წინაშე, რომ განთავისუფლებულ იქმნან რისთვისაც მთავრობას ყოველივე საქმეებში დახმარებას პირდებიან.

# ფოთის ამბები.

გერმანეთის სატრანსპორტო დელეგაცია უზარმაზარ ოკეანის გემებით „მინინა" „ორათ"ი გერმანეთში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ გზით შემოიარა ფოთში და ქალაქს ეწვიენ როგორც სტუმრები. ხმები, რომელნიც 26 მაისს ქუთაისში დაუგდიათ, თითქოს ფოთი გერმანელებმა აიღესო უსაფუძვლოა, პირიქით გერმანელები ფოთში, როგორც მეგობრები და მფარველნი ისე შემოვიდენ. საღამოზე მათ ვახშამი გაუმართეს. ამ ჟამად ფოთში ერთი როტა ავსტრო-გერმანელია, რომელთაც, განზრახულია, იარაღი დაურიგდეს, როგორც საერთოდ მთელ საქართველოში. გერმანელები აპირებენ ფოთიდან შავი ქვის გაზიდვას.

ილიკო.

# ორი დღე სამეგრელოში.

სუსხიან იანვარ-თებერვალშიდაც ლამაზია საერთოდ ჩვენი ქვეყანა. კეკლუც მაისში მის სილამაზეს ვერ აღწერს უბრალო მომაკვდავის კალამი. განსაკუთრებით [illegible] ბუნება სამეგრელოსათვის უხუქებია. ხელის გულისავით ვაკე სამეგრელო [illegible] არის [illegible] კოპწია [illegible] სახლებს წინ [illegible]ვე ეზო ამშვენებს, რომელსაც ზრდილობით სავსე მეგრელი ერთგულად უვლის. საერთო ჩვენი ქვეყნის არევ-დარევა სამეგრელოს ერთგულ შვილებსაც დანარევენ ჩვენ ძმებზე, არა ნაკლებ აშფოთებს უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ჩვენი ქვეყნის ეს კეკლუცი კუთხე ამ ჟამად ავაზაკების სათარეშოდ გამხდარა. ავაზაკების სახით სამეგრელოს ლენინისაგან გახულიგანებული ჯარის კაცები მოვლენია. მთავრობას ეს ხულიგანები აულაგმავს, მაგრამ თითო ოროლა კიდევ დაძრწის აქა —იქ და მშვიდობიან მცხოვრებთ ავიწროებს. სამეგრელოს დაბა-ქალაქები და დიდი სოფლები სავსეა ამ ჟამად ხალხით, რომელსაც ტომრები იღლიაში ამოუდვია საშინელ სურათს წარმოადგენს ამ მგზავრების შეხედულობა. მათი დაღვრემილი სახე შველას ითხოვს, მაგრამ გამკითხავი არავინ არის. ყველა ამათ სიმინდი უნდათ, მაგრამ სიმინდის ყიდვა—გაყიდვის საქმე ძლიერ ცუდათ არის დაყენებული. ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან მიღებული სიმინდის ყიდვისა და გამოტანის ნებართვის ქაღალდს არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ჯერ სიმინდის ყიდვაა ძნელი და მერე გამოტანა. ორი ფუთი სიმინდის შეძენას თითო კვირა უნდება ადამიანი. ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებს სიმინდი ან სრულიად არ მოეძებნებათ ან ძრიელ ცოტა, ასე რომ ყველას მითი სარგებლობა არ შეუძლია. ქ. სამტრედიაში ამ ორიოდე დღის წინად სასურსათო კომიტეტიდან სიმინდის მიუღებლობის გამო ქალებს ერთი აურ-ზაური აუტეხიათ და კომიტეტის შენობის ბალკონი მიულეწ-მოულეწიათ.

მთავრობამ სიმინდის თავისუფალი ვაჭრობა დაადასტურა, საქმით კი ეს სამეგრელოში განხორციელებული არ არის. აქ მხოლოდ მალულად შეიძლება სიმინდის ყიდვა და წამოღება და ისიც არა უმეტეს ორი ფუთისა. ამის მიზეზად სოფლელები კოოპერატივების გამგეობებს ასახელებენ. კოოპერატივებს დადგენილ მაზანდაზე უნდათ შეიძინონ სიმინდი და ამაზე სოფლელები არ არიან თანახმად ამიტომ უხდება მყიდველს მალულად სიმინდის შეძენა. მთავრობამ სიმინდის საქმე თუ არ მოაწესრიგა ამ ნიადაგზე ბევრ უსიამოვნებას უნდა მოველოდეთ სამეგრელოში.

მ. ბუაჩიძე.

# რუსეთი

## მღვდლების უსტარი ლენინთან.

ბექვდითი ბიუროს ცნობით ლენინმა შემდეგი წერილი მიიღო:

„მოქალაქე ლენინო!

მოგესალმებით, როგორც თავისუფლების მომნიჭებელს, როგორც დამპალ რეჟიმის გამანადგურებელს. თქვენი წყალობით მონები განთავისუფლდნენ, მაგრამ ყველამ ვერ იგრძნო თქვენი თავისუფლება. დარჩა ერთი პროლეტარული წოდება, რომელიც თქვენ დაივიწყეთ და აწ ჰგოდებს მეფურ რეჟიმის უზურპატორების ბრჭყალებში. ეს არის—სასულიერო წოდება. ვინ თხოულობს დღეს ხელგაშვერილს მოწყალებას თავის ოჯახის გამოსარჩენად? ვის აყენებენ მწვავ შეურაცყოფას საზოგადო კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თეატრებში, კონცერტებში და სხვ. ვის აცვია დღემდე მასხრული ტანისამოსი, რომელიც მონობისთვის არის მოგონილი? ნუ თუ ჩვენ ადამიანები არა ვართ, ნუ თუ ზვიად თავისუფლების დროში არ უნდა ვსტკბებოდეთ თავისუფლებით. ნუ თუ სამუდამოთ მონობაში უნდა ამოგვხდეს

სული? არა და ათასჯერ არა! გვჯერა რომ არ დაგვივიწყებთ. ვიმედოვნებთ რომ გამოსცემთ დეკრეტს, რომლითაც გაგვანთავისუფლებთ ამ უმგვანო სამოსლისგან, შეგვრჩება რა მხოლოდ მღვდელმსახურების დროს, გაგვათანაბრებთ უფლებებით ყველა მოქალაქეებთან, გვექნება ნება ვინახულოთ თეატრები, ლექციები, კონცერტები და უმთავრესად—შეგვეძლება მოვიკრიჭოთ თმა, რომლითაც ვგევართ პირველყოფილ ადამიანებს. დაჟინებით გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ ჩვენი ტირან არქიელებისგან და გემსახურებით სიმართლით და სარწმუნოებით. ნუ ჰგონებთ, რომ მთელი სასულიერო წოდება თქვენი მტერი იყოს, გყავთ ბევრი მეგობრები, მაგრამ შებორკილებულები, რომელთაც უნდათ თავისუფლად ამოისუნთქონ ძმობისა და თანასწორობის სახელით.

**ცრუ ხმები ბრუსილოვზე.**

სარწმუნო წყაროებიდ ნ იუწყებიან, რომ ყოველივე ხმები ბრუსილოვის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ სინამდვილეს მოკლებულია.

**რუზკსი.**

როგორც ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, გენერალი რუზსკი ავადაა. მას ბოლშევიკებთან არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებია.

**რადკო დმიტრიევი.**

რადკო დმიტრიევი ცხოვრობს ესენტუკში. დღემდე საბჭოთა მთავრობა მეტად იჭვის თვალით უყურებდა რადკო დმიტრიევს. დღეს კი საბჭოთა მთავრობა მართლა აწარმოებს მოლაპარაკებას რადკო დმიტრიევთან.

---

## ფიქრები და მოგონებანი.

1

ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთმა რუსის ინტელიგენტმა, რომელიც აქ, ჩვენს საქართველოში დიდი ხანია ცხოვრობს, მუსაიფში ახლანდელი დროის შესახებ, სხვათა შორის, და მეკითხა რატომ არის თქვენი საქართველო, სადაც არამც თუ არ არის განვითარებული მრეწველობა, ფაბრიკა—ზავოდები—ქარხნები, მისი ხსენებაც არ არის, სადაც ყველა მიწაწყლის მესაკუთრეა და სადაც, მაშასადამე, არც არის „ბურჟუა" და არც „პროლეტარი"—მიმდევარი პროლეტარიატის პარტიის ე. ი. ს. დემოკრატიის მიმდევარი? მე ეს ძალიან მაკვირვებს და იქნება თქვენ ამიხსნათ—დაუმატა მან—უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩვენ მუსაიფში კილო იყო იმნაირი, რომ ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი მოსაუბრე, თუმც ნამდვილ და ჭეშმარიტ კითხვას მიყენებს საპასუხოდ, თითქო შანს მიგებდა და უნდოდა ამით დაემტკიცებია ჩვენი ქართველი ერის სიბრიყვე, უგნურობა, სიყალბე...

ამის პასუხად მეც დაუყენე საკითხი ჩემს მოსაუბრეს და გული ამით ვიჯერე.—მე ვკითხე: რატომ არის. რომ თქვენს რუსეთში გაბატონდენ „ბოლშევიკები" ის „ბოლშევიკები", რომლებმაც ყირამალა გადააბრუნეს და დაამხეს რუსეთი, გაანადგურეს ყოველივე, რაც გაგაჩნდათ ძვირფასი მეცნიერების, ხელოვნების, მრეწველობის ნაწარმოები, წაბილწეს ყოველივე წმინდათა-წმინდა, გააჩაღეს შინაური მომაკვდინებელი მოქალაქობრივი ბრძოლა და მიიყვანეს და გადაჩეხეს რუსეთის ერი იმ უფსკრულში, საიდანაც ამოსვლა და ფეხზე დადგომა მეტათ ძნელია? ნუ თუ მთელი რუსეთი „ბოლშევიკურია" რომ მისდია ამ დამღუპველ პარტიას—მეთქი.—

„მე სრულიად არ მწამს, რომ „ბოლშევიკები" დიდ ხანს იბატონებენ, ეს დროებითია და მალე, იმედი მაქვს, რუსის ხალხი გაიგებს და მიაგნებს ნამდვილ ასიკეთო გზას" მიპასუხა.—

თუ თქვენ ამისი იმედი გაქვთ, რატომ ჩვენც არ უნდა გვქონდეს ასეთივე იმედი რომ ქართველი ერიც მალე გაიგნებს გზას, მიხვდება და გაარჩევს მტერ მოყვარეს და დაადგება საკეთილდღეო ბილიკს. ამისი იმედი გვაქვს ჩვენ მით უმეტეს, რომ ამ რევოლუციის დროს ჩვენმა, ქართველმა, ერმა შედარებით გამოიჩინა და იჩენს მეტს სიდინჯეს, გონიერებას, წინდახედულობას, ვინემ გამოიჩინა თქვენმა რუსის ერმა, ვინაიდგან იმისთანა ბარბაროსობა, როგორც თქვენ ერს, ახასიათებს ჩვენს ქართველ ერს არ გამოუჩენია—უპასუხე მე—

„როგორ არ ჩაგიდენიათ, აბა რა არის, რა ხდება თქვენში, გორის მაზრაში, კახეთში, ნუ თუ ეს ბარბაროსობა არ არის—მკითხა მოსაუბრემ.—კი, მართალია, ეს ბარბაროსობაა, მაგრამ იმასთან შედარებით რაც რუსეთში ხდება ეს წვეთია ზღვაში. თქვენში ინტელიგენციას ემუქრებიან მოსასპობად და ჩვენში ეს მაინც არ არის.

ბოლოს ასე დამთავრდა ჩვენი მუსაიფი: თქვენი „ბოლშევიკები" და ჩვენი „მენშევიკები" კი მართალია უფროს უმცროსი ძმები და ერთი ხის ნაყოფი არიან, მაგრამ ჩვენი, ქართველების, ზღაპრებში ყოველთვის უმცროსი სჯობნის ჭკუა-გამჭრიახობაში და თუ თქვენ, რუსებს, იმედი არ გეკარგებათ „ბოლშევიკებისგან" წამხდარ გაფუჭებულ საქმის გამოსწორებისა და გამობრუნებისა, ჩვენც არ ვართ უიმედო ჩვენი „მენშევიკების" საქმეთა გამოსწორების.—ასე დავშორდით ერთმანეთს.—

ამ ჩვენ მუსაიფში მაგონდებოდა ერთი ანეკდოტი გურულ მეგრელის: ერთ ქორწილში შეხვდენ გურული და მეგრელი ერთმანეთს. გურული ცალი თვალით ბრმა იყო. წაკინკლავდენ და მეგრელმა კითხა განგებ, გასაჯავრებლად, რად ხარ კაცო ცალთვალზე ბრმაო,—გურულს მოაწვა ბოღმა გულზე და მეტი ვერაფერი მოახერხა უცბად და წამოიღუღლუღა ბოღმა მორეულმა: „ჩემი უფროსი ძმა ბრმაც არის და მუნჯიცო, უთხრა. „აგიშენებიათ ოჯახიო, მიაძახა მეგრელმა და იჯერა გული ამით და მოშორდა.

ამ ანეკდოტის არ იყოს მეც, თუმცა ვერ მივეცი ჩემს მოსაუბრეს პირდაპირი პასუხი, მაგრამ გული ვიჯერე იმითი რომ თუ ჩვენ ცუდათ მიგვიდის საქმე და უგუნურად მიმდინარეობს ჩვენი საარსებო საკითხი ჯერ-ჯერობით ამ დიად ხანაში, თქვენც უარესად გაქვთ საქმეთქო. ამ მუსაიფმა გამოიწვია სხვა მწარე ფიქრებიც და მოგონებანი ჩემში.

(შემდეგი იქნება.) X.

---

## გზა-ტკეცილი სურამიდან ქუთაისამდე.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ზემო იმერეთში სურამიდან შორაპნამდე არავითარი გზა-ტკეცილი (ფოსტის გზა) არ არსებობს. არის მხოლოდ მთავარი რკინის გზა ხაშურზე, შორაპანზე ქუთაისსა და იმას იქით, რომელსაც გზა-ტკეცილი არ მისდევს შორაპნამდე. ზემოხსენებული რკინის გზა სადგ. ვარვარინოდან (იმერეთისკენ) გადის 7 ვერსტიან დიდს გვირაბში რომელიც სიძველის გამო ისე დაზიანებულია რომ მომავალში საეჭვო არის. ამის შემდეგ გზა მიდის ძალიან ვიწრო ხეობაში, რის გამო მდინარეს არა ერთხელ და ორჯერ გამოუთხრია მისთვის ძირი და გამუდმებულ შვავებს არ ერთხელ შეუჩერებია მატარებლების მიმოსვლა.

სადგ. ძირულიდან მოდის ერთი ფართო ხეობა, რომელიც მიჰყვება მდ. ძირულას. ეს ხეობა რჩება რკინის გზას ძირულიდან მარცხნივ და გადმოდის სურამზე. ამ ხეობას უწოდებენ სახელად ხეფინიხევს და შეიცავს ლიჩის, ხუნევის, ამაშუკეთის, შროშის, შორაპნის და სხვა მახლობელ საზოგადოებებს. ზემოხსენებულ საზოგადოებაში მცხოვრებთა რიცხვი დიდია ვინ არ იცის მათი უმწეო მდგომარეობა. ვის არ უნახავს ზემო იმერელი დაკონკილ ტანისამოსში შეიძლება ფართო საზოგადოება არ იცნობდეს ზემოხსენებულ კუთხეს და მათ მცხოვრებთ, მაგრამ სურამმა და შორაპნის აქეთ ახლო-მახლო დაბა-ქალაქებმა კარგად იციან ეს კუთხე და იქ მცხოვრებნი.

მდებარეობა ამ კუთხისა მთა-გორიანია და წლის სარჩო იშვიათად თუ მოჰყავს ვისმეს. მთა ადგილებში სთესვენ სიმინდს და ვინც ბარში სცხოვრობს მისდევენ ვენახების გაშენებას, მაგრამ არც ერთი ამ მცენარეთაგანი ისე არ ხარობს როგორც სხვა შესანიშნავ ადგილებში, რადგან ნიადაგი უვარგისია. ღვინო კარგი დგება და ბევრიც მოჰყავთ დაბლობ ადგილებში, მაგრამ მათი გაზიდვა მახლობელ დაბა-ქალაქებში ძალიან შეფერხებულია უგზოობისა გამო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სოფლებიდან გაზიდული ღვინო უფრო მეტი ჯდება, ვიდრე მატარებლით ან ფოსტის გზით გადაზიდული ღვინო, რომელიმე ქალაქში. სწორედ ამ მიზეზით მეპატრონეებს არა ერთხელ და ორჯერ დარჩენიათ ღვინო გაუსაღებელი ან და თუ გაუსაღებიათ ჩალის ფასად. გზები იმდენად უვარგისია რომ ერთ უღელს ხარს (ურემში შებმულს) არ შეუძლიან 15-18 ფუთზე მეტი ტვირთი წაიღოს. ამიტომ გასაკვირი არ არის, როდესაც ხშირად ამ გზებზე დაინახავთ ცხენებს, რომელთაც ზურგზე 8-10 ფუთი საპალნე ჰკიდიათ, რადგან ცხენებით ტვირთის ზიდვა ნაკლებად სახიფათოა ვიდრე ეს ურმით. არა ერთი და ორი ურემი გადავარდნილა კლდეზე, ან და წყალს წაუღიათ ხარებიანათ. ახლა აღარ იკითხავთ რა ჯდება ცხენით ათი ფუთის გაზიდვა 25 ვერსტზე? არც ერთ ცხენის პატრონს, მუხლზედაც, რომ დაუჩოქო არ მიაქვს ზემოხსენებული ტვირთი 6-7 თუმანს ნაკლებ.

მკითხველი დაინახავს თუ რა დაუჯდება პატრონს ბაზარზედ საქონლის გატანა ამას გარდა (ნათქვამია: ხერხმა აჯობა ღონესო), სარჩო ღვინო და სიმინდი რომ არავის მოდის, ეს ყველამ კარგად ვიცით და რომ იმერელმა კაცმა ცოტათი მაინც გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, მიმართავს ყოველნაირ საშვალებებს, გამოაქვს ბაზარზედ ყოველგვარი ხილი; როგორც მაგ.: ბალი, ქლიავი, მსხალი, და სხვა.

ამნაირ ბედკრულმა ყოფამ აიძულა ზემო იმერეთის მცხოვრებნი მოეძებნათ უკეთესი საცხოვრებელი და ბევრი მათგანიც გადასახლდა 1918 წელში კაბალში. დღეს როდესაც მთელი ევროპა ომის ქარცეცხლშია გახვეული, და ვინ იცის თუ როდის მოეღება ბოლო ამ საზარელ ომს, ზემო იმერეთში ისევ დაიწყო ხალხმა მოძრაობა და ბევრი სახლდება კახეთში, რადგან ცხოვრების უკიდურესმა გაჭირვებამ იგინი ხელახლად აიძულა.

ერთად ერთი საშვალება ამ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის გზატკეცილის გაყვანა ქუთაისიდგან სურამამდე. ამ გზას შეუძლიან სოფლები ქალაქებთან ყოველმხრივ დააკავშიროს და შესაზიდ-გამოსაზიდი მასალა იაფ-ფასში მიაწოდოს.

ამ გზას არამარტო დასახელებულ მცხოვრებთ სარგობლობა შეუძლია, იგი აგრეთვე სახელმწიფოსაც სარგებლობას მოუტანს მდიდარი მადნეულობისკენ მიმოსვლის გაადვილებით 1918 წელში სოფ. ბჟინევში აღმოაჩინეს ძვირფასი მადნეულობა, რომელზედაც რამოდენიმე თვე იმუშავა გამოცდილმა ინჟინერმა, რის შემდეგაც მუშაობა შეწყვიტეს გზის უვარგისობის გამო.

ამის შემდეგ ბევრი იზრუნა მადნეულობის აღმოსაჩენად ბ. პავლე მოსეშვილმა, რომელმაც მიზანს მიაღწია სოფ. გეხამანიაში, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყების გამო ორივე ზემოხსენებული მადნეულობის წარმოება დროებით შეჩერებულია.

დღეს ამ მადნეულობის წარმოება ძნელია, მაგრამ ერთად ერთი საკითხი, რომელიც ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეს არის გზატკეცილის გაყვანა ზემოხსენებულ პუნქტებიდგან. საბედნიეროდ გამოჩნდა ხალხისთვის თავდადებული კაცი. ეს არის სადგ. ძირულაში მცხოვრები ბ. მეთოდი ქათამაძე. მან დიდი ხანია შეიგნო ეს საჭიროება და მუშაობს მისთვის.

იაპონიის ომის შემდეგ ცხრაას შვიდიდან, ბ. მეთოდი ქათამაძემ დაიწყო და აღძრა საკითხი სურამიდგან ქუთაისამდე სამხედრო გზა ტკეცილის გაყვანის შესახებ. ბევრი მიწერ მოწერის მერე ბ. ქათამაძემ მიზანს მიაღწია, დეპუტატ ვარლამ გელოვანის დახმარებით საკითხი სამინისტროში ჩვენდა სასურველად სწყდებოდა მაგრამ 1914 წელში დაწყებულმა ომმა არამც თუ გზების საქმე—სხვაც ბევრი რამ ჩააჯოჯოხეთა. ბ. ქათამაძეს იმედი არ დაუკარგავია—და 7 ოკტომბერს 1917 წელს ამიერ კავკასიის მთავრობას მიმართა შემდეგი თხოვნით და შემუშავებული პროექტით. „დასავლეთ საქართველოს აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს შეერთებულ იქმნეს აღმოსავლეთ საქართველოსთან გზა-ტკეცილით, სურამიდან ქუთაისამდე. გზამ უნდა გაიაროს ხუნევის, ამაშუკეთის, შროშის, შორაპნის საზოგადოებებზედ ქალაქ ყვირილაზედ და იქიდან როგორც მიდის ქუთაისამდე იმავე გეგმით."

ბ. ქათამაძეს მთავრობის წინაშე მოჰყავს შემდეგი მოსაზრება; წიფის გვირაბიდან დაწყებული ქალაქ ყვირილამდე რკინის გზის ლიანდაგი მიდის ღრიანკელის კლდეებში. რომ განმეორდეს ისეთი შემთხვევები როგორიც იყო 1874 წელში როდესაც მთელი მთის შვავი ჩამოვიდა და წლობით მიმოსვლა შეწყდა. 1895—6 წლებში წყალდიდობამ შეაჩერა მიმოსვლა. წალეკა რკინის გზის ხიდები და ლიანდაგები.

ბოლოს როგორც იყო ბ. ქათამაძის თხოვნა და პროექტი ამ. კავკასიის მთავრობას დაუმტკიცებია და 22 დეკემბერს 1917 № 24238 ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში გამოუგზავნიათ და პირველი მსჯელობა, როცა გზის გაყვანაზე იქმნება, უნდა იქმნეს სისრულეში მოყვანილი სურამიდგან ქუთაისამდე გზატკეცილის გაყვანა საერთო ხარჯით.

ხალხმა დაინახა რა ქათამაძის ამ საქმისთვის თავდადებული მოღვაწეობა, მიანდო მას ეს საქმე და იგი აღჭურვილ იქმნა სრულ უფლებით წარსული წლის მარიობისთვეში, რათა უფრო გაბედულათ და დაუბრკოლებრივ ეწარმოებია ეს დიადი საქმე. მაგრამ მარტო მისი მოღვაწეობაც არ კმარა, საჭიროა თვით ხალხმაც ზურგი გაუმაგროს და უზრუნველყოფილ იქმნეს იგი ყოველნაირ ხარჯებში.

იმედია სურამიც დიდის აღტაცებით დაგვეხმარება, რადგან გზა-ტკეცილის მეოხებით დაბა-ქალაქები დიდათ ისარგებლებენ იმ ნედლ მასალით, რომლებიც დიდ-ძალი მოიპოვება ზემო იმერეთში (მაგ. ჩაი 40 ათას ფუთამდე მეტი აქვსთ დღეს დამზადებული, მარწყვი, გამოაქვსთ ყოველ წლივ ათას ფუთობით, ღვინო, მადნეულობა და სხვა). თვით ხალხი იმავე გზის საშვალებით შეძენს ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებულს საქონელს ხელმისაწდომ ფასებში. ვიმედოვნებთ, რომ სურამი, როგორც ერთი კაცი ამ ჩვენს მოწოდებას გამოეხმაურება, რაც ჩვენთვის აუცილებელია. ახლო მომავალში საჭიროა ინჟენრების მოყვანა გზის დასათვალიერებლად და გეგმის შესამუშავებლად, რისთვისაც, ვიმედოვნებთ ბ. მ. ქათამაძე იხელმძღვანელებს.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი. ხუწევის საზ. მცხოვრები.

**ლეონიდე ციცქიშვილი.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ განცხადებას თქვენ გაზეთში. გაზ. „სოციალ-დემოკრატი"-ს № 238 ში მოთავსებული ცნობა თითქოს ბ. ი. ელიგულაშვილი ამხანაგებთან უთანხმოებისა „ცეირეიციონის" ფრაქციიდან გამოსულიყოს სიმართლეს არ შეიცავს.

ს. ც.

---

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა